საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 42 47 16/09/2020

„მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო/არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №42 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ - საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შეტანილი იქნას ცვლილება „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო/არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №42 37 განკარგულებაში და თანდართული დანართი №1 ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი რედაქციით (დანართი №1 თან ერთვის).
2. ცნობად იქნას მიღებული „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო/არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №42 37 განკარგულების დანართი №1-ის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ქონების პრივატიზების ფაქტი;
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11, მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე